ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება "№19/01-01 28.01.2015წ.
დანართი №1

2015-2016 სასწავლო წლისათვის ლაიდენის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სამაგისტრო სტიპენდიის მიმღებთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თსუ-სა და ლაიდენის უნივერსიტეტის შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ლაიდენის უნივერსიტეტის მიერ 2015-2016 სასწავლო წლისათვის გამოყოფილი სამაგისტრო სტიპენდიის მოსაპოვებლად, კონკურსში მონაწილე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი სემესტრის კანდიდატთა შორის სტიპენდიანტის შერჩევა.

2. კანდიდატი

კონკურსზე დაიშვებიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი სემესტრის სტუდენტები რომელთა GPA არის 3.2–4.0.

3. სტიპენდიანტის შერჩევა

სტიპენდიანტთა შერჩევა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA).

4. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.

ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა

გამარჯვებულის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ ზემოაღნიშნულ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით სტიპენდიანტის შერჩევის გზით.